№ 75

ხუთშაბათი, 7 აპრილი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 75

ხუთშაბათი, 7 აპრილი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**ბაბილინა ვახტანგის ასული და ალექსანდრე გიორგის ძე ბებურიშვილები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ შაბათს, 9 აპრილს ამა წლისას, ორმოცის წირვაზედ, რომელიც გადახდილ იქმნება სტატსკის სოვეტნიკის **გიორგი ბურგენის ძე ბებურიშვილის** სულის მოსახსენებლად შემოქმედში, სადაც დაკრძალულია განსვენებულის გვამი. (2—2)

**„ი ვ ე რ ი ა“**

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**„ტფილისის სობრანიეში“**

პარასკევს, 8 აპრილს

კნ. ე. ქ. ანდრონიკაშვილის, კნ. ნ. ორბელიანის, თ. გ. რჩეულოვისა და ბბ. აკაკი წერეთლისა, კ. თუმანიშვილისა, სარაჯიშვილისა, პრესმანისა, შალიაპინის და პახომოვის მონაწილეობით

გამართული იქმნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

სასარგებლოთ

**კონცერტი**

ადგილების ფასი 1 მ. 10 კ.—4 მ. 10 კაპ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

ბილეთების ყიდვა შეიძლება სობრანიეს შვეიცართან.

**ლატარია-ალეგრი „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 8 მაისს. ვისაც სურს შემოსწიროს** ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს **ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას** (ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი).

## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ გვაუწყებენ დეპეშით, რომ ყარსში, აბასთუმანში, შუშასა და სიღნაღში გუშინ, 5 აპრილს, საღამოდგან დაწყებული დღეს, 6 აპრილს, დილამდე თოვს თურმე. შუშაში, მაგალითებრ, კარგა დიდი თოვლი დაუდვია.

⁂ „Нов. Обоз.“-ს სიტყვით, ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შარვაშიძე პეტერბურგიდგან ტფილისში დაბრუნდება პარასკევს, 8 აპრილს.

⁂ ხვალ, პარასკევს, 8 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკა'ის სამეურნეო საზოგადოების სადგომში გამართული იქმნება სასოფლო სამეურნეო ბაასი.

⁂ ამ დღეებში ტფილისში მოელიან ბელგიიდგან „უსახელო საზოგადოების უფროსს გამგეს ბ-ნ გინოტს, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს ჩვენ ქალაქის გამგეობასთან ტფილისში ცხენის რკინის გზის ახალ ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ცნობაში მოუყვანია კავკასიაში მყოფ სახელმწიფო მამულების რაოდენობა. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთლად კავკასიაში—6,687,200 დეს. ამოდენა სახელმწიფო მამული დღევანდლამდე ძლიერ მცირე შემოსავალს იძლევა, მილიონ მანეთამდე წელიწადში, რაც შეადგენს დესეტინაზე ერთს აბაზს.

⁂ გუშინ, 6 აპრილს, ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

⁂ ცხენის რკინის გზის კონდუქტორებისათვის წიგნთ-საცავის გამართვა განუზრახავთ და ეს საქმე მალე გაირჩევა.

⁂ ამ დღეებში ტფილისში ახირებული ამბავი მოხდა. ერთს მოხელეს ბ-ნ გ—სკის, რომელსაც შარშან შეურთავს ცოლი, შეჰყვარებია მეუღლე ტფილისის ვაჭრის ა—სი, ამ მოვაჭარესაც შეჰყვარებია ვიღაც ქალი სახელად ნადეჟდა, რომელიც ვაჭარსაც თანაუგრძნობდა თურმე. ეს ნადეჟდა თურმე გ—სკის მეუღლეა. ამ დღეებში მოხელეს მოუსწრია თავის მეუღლესთან ვაჭარი, იმ დროს როდესაც მოხელე დაბრუნებულა შინ ვაჭრის მეუღლისაგან. ვაჭარს ძლიერ შეშინებია და დაუწყვია თხოვნა, მაპატიე, შევცდიო. მოხელეს გაჯავრების ნაცვლად ვაჭრისათვის უთქვამს, ნურაგეფიქრება-რა, შენ თუ ჩემი ცოლი გიყვარს და მასაც უყვარხარ, მეც შენი ცოლი მიყვარს და იმასაც ვუყვარვარ, მაგრამ აქამდე ვერა ვბედავდი ამის გამოცხადებასაო. რამდენისამე ხნის მოლაპარაკების შემდეგ მოხელემ თავისი ცოლი საუკუნოდ დაუთმო ვაჭარს და ვაჭარმა სამაგიეროდ თავისი ცოლი მისცა.

⁂ რკინის გზის ბორჯომის შტოსათვის მტკვარზედ გადასადები რკინის ხიდი უკვე მიიღეს ლონდონიდგან, საიდგანაც ამ ახლო ხანში მოელიან მეორე რკინის ხიდს შავ მდინარეზედ გადასადებად. დროებით ორივე ხიდი ფიცრისა იქნება გამართული და ივნისის 10 დამ მატარებლები დაიწყებენ მისვლა-მოსვლას ხაშურსა და ბორჯომს შუა.

⁂ ქ. სიღნაღი. ს. ნუკრიანში პირველ აპრილს მოხდა ერთი სამწუხარო უბედურება, რომლის გამოც ხალხის მწუხარებას საზღვარი არა აქვს. ნუკრიანის ძველს სადგურს ახლო ერთ შეძლებულ ვაჭრების 25—26 წლის ნოქარს იმ ღამეს დუქნის დერეფანში სძინებოდა, რადგან გარეთ ქერით სავსე ტომრები ეწყო თურმე და დარაჯობდა. იმასთანვე ყოფილა ერთი 16—17 წლის მოჯამაგირე ბიჭი ყრუ. ორთავეს საწოლს ახლო ცეცხლი ნთებიათ. ვახშამი რომ უჭამიათ, მოჯამაგირე მაღლა ტომრებზედ ასულა და იქ დაწოლილა და თითონ ნოქარს საწოლზედ დაუძინია. როდესაც ხშირს ძილში შესულან, ნოქარი საწოლიდგან გადმოვარდნილა და ცეცხლზედ პირქვე დაცემულა. ისე დამწვარა საბრალო, რომ არც-კი გამოჰღვიძებია, თავი, ფეხები და წელის ხერხემლები-ღა დარჩენოდა, სხვა სულ გამოსწვოდა. მეორე დილას, ე. ი. შაბათს, დილით ბიჭი რომ ამდგარა, უნახავს საზარელი მდგომარეობა და ყვირილი დაუწყია.

იქიდანვე სწერენ: აქეთ ძალიან ცუდი ამინდები დაიჭირა. ბევრს ზარალი მისცა. სიღნაღში ორი-სამი სახლი დააქცია.

⁂ 5 აპრილს ელისაბედის ქუჩაზე იპოვნეს კალათით დადგმული სამი თვის დაბადებული ბავში, რომელსაც ბარათი ხელში ეჭირა. ეს ბავში ჯერ მოუნათლავია და მონათლეთო. ბავში საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

⁂ 5 აპრილს მიხეილის ქუჩაზედ ვეტცელის სახლში კარლ შულცს სადგურის ფანჯარა გაუტეხეს და 520 მანეთის ოქროს ნივთეული მოჰპარეს. ეჭვი იმისავე მოსამსახურეზე არის მიტანილი.

## დამაკვირდი

არა განსძღეს თვალი ხედვისა და გული სურვილისა.

ანდაზა

**

ცალიერი გუდა ქარისაგან იბერება, ცალიერი თავი—ამპარტავნებით.

მ. კლოდიუსი

**

სიყვარული დედაკაცისათვის მთელი ისტორიაა ცხოვრებისა, მამაკაცისათვის ერთი ამბავი ცხოვრებისა.

ქ-ნი დე-სტალი

# ფელეტონი

## დამჭკნარი ფოთლები

ალექსანდრე კილანდისა

1878 წელს გამოფენილი იყო, სხვათა შორის, სურათი მხატვარის ევერტონ სენსბიურისა. თითქმის არავის ყურადღებას არ იზიდავდა ეს სურათი; არც დიდი იყო, არც ძლიერ პატარა და იქნება ესეც იყო მიზეზი, რომ ჩვეულებრივს სალიზლობელს ცნობის-მოყვარეობას არ უღვიძებდა არავის; ნახატი იყო ისეთის ფერადებით, ისეთის კალმითა, რომ ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა, ვითომ მიდის სურათია და აბა დაეხვიენით და დასტკბითო.

მაგრამ, ვინც-კი ახლო გაუვლიდა, ყველა სიამოვნებით შეჰხედავდა ხოლმე, იმიტომ რომ ჰარმონიასავით დამატკბობელი იყო, ხოლო აზრი ჰქონდა დიაღ მარტივი და ადვილად გასაგები. ორი ისეთი გამიჯნურებული იყო ზედ-დახატული, რომელთაც მცირეოდენი უსიამოვნება გამოჰრეოდათ და ერთმანეთს ებუტებოდნენ. მნახველთაც ეღიმებოდათ; ეღიმებოდათ, იმიტომ რომ ყველას აგონდებოდა ის მცირე და ტკბილი ბუტიაობა, რომელიც მიჯნურობაში ისე ხშირად დაიწყება სულ უბრალო, ახირებულის მიზეზით და ბოლოს-კი უთუოდ კოცნით გათავდება ხოლმე.

თანდათან სურათმა არა ერთისა და ორის გული მოიგო და მოინადირა. იმ სურათისკენ რომ წასულიყავით, უთუოდ ჰნახავდით ვისმე, დიდად ჩაფიქრებულსა და საგონებელში ჩავარდნილსა. ყოველ გვარს ადამიანსა ჰნახავდით და სახეზედ შეამჩნევდით, რომ ყველას ერთგვარი მეტყველება ეტყობოდა: სურათი თათქო ჩრდილს აყენებდა ყველას, თითქო გახუნებულს, მოყვითანო ფერსა სდებდა მნახველს. მიუახლოვდებოდი თუ არა ვინც მარტოდ-მარტო მის წინაშე იდგა, მოშორდებოდა: და სწორედ ძლიერ სასიამოვნო ის იყო, როცა კაცი მარტო დარჩებოდა და ისე დაუწყებდა სურათს თვალიერებას.

ბაღის კუნჭულში, ღობის ძირასვე, სდგას თავ-ახდილი ფარდული. ფარდული ნახევრად არის მწვანედ შემომესრილი, ნამგალა მთვარესავით, და ზურგი ღობეზედ აქვს მიყუდებული. გარშემო ახვევია სულ გარეული ვაზი, რომლის მოქნილი რქები ისევ ძირს არის დაშვებული.

შემოდგომის მიწურულია; ვაზს სქელი ფოთოლი გასცვივნია და მხოლოდ რქებს-ღა აქვს პატარ-პატარა მწვანე ფოთლები. ზაფხული გასულა და გამოთხოვების ნიშნად ცოტაოდენი ფერი კიდევ მიუნიჭებია მათთვის. მალე ესენიც შეყვითლ-შეწითლდებიან, დაამშვენებენ ბაღს შემოდგომის სამწუხარო ლაზათით და გამოეთხოვებიან წუთი-სოფელს. გარშემო ჩამოცვინული ფოთოლი ჰყრია და სწორედ ფარდულის წინ დაუგროვებია ქარს საფლავის პატარა ბექობივით. ხეხილი სულ გაცრცვნილია და ერთს ტოტზედ პატარა მგალობელი ჩიტი ზის მოწითანო მიხაკის ფერის გულითა; სულ დამჭკნარს, გაწითლებულსფოთოლსა ჰგავს და განუწყვეტლივ ჭყროპინობს, თითქო გაზაფხულის გალობა-ჭიკჭიკს ვეღარ ახერხებსო. ერთად-ერთი სიმდიდრე სურათისა პუჭპუჭა-ღაა. პუჭპუჭა სიმბოლოა ზრუნვისა, მუდამ მწვანეა, ზამთარ-ზაფხულ. თავის გძელის ულვაშებით ძვრება კედლის სულ პაწაწა მიჰვრიტანაშიაცკი და, როცა გამაგრდება, ფესვებს მოიკიდებს, მხოლოდ მაშინ-ღა ვამჩნევთ, რომ მისი გაწყობა შეუძლებელია და რომ დაუღალავად არღვევს ნელ ნელა მთელს შენობას. მაგრამ პუჭპუჭა კარგად ჩაცმულ-დახურული ზრუნვაა: თავის მსხვერპლს რღვევისა და ნგრევისას გარედამ მშვენიერის, ხასხასის ფოთლებითა ჰმოსავს. და კაცნი-კი იღიმებიან სიამოვნებით, თითქო ვერა ჰხედავენ, რომ უყურებენ დარღვეულ კედლებს, რომელსაც პუჭპუჭა გადაჰფარებია.

ფარდულს შუა ზის ყმაწვილი ქალი-შვილი და ხელები მუხლებზედა აქვს დაწყობილი. თავი ოდნავ გადუხრია და უცნაური მეტყველება დასტყობია მის ტურფა სახეს. არ ემჩნევა, რომ ეგ მეტყველება შეურაცხობისა, ანუ რისხვისა იყოს; არც ჩვეულებრივს კაპასობასა და ავ-ზნიერობასა ჰგავს; არა, ეტყობა, რომ უფრო დიდად და დიდად გულ-აჩხრეკილია, უკმარობის გრძნობით შეპყრობილი. ისე იყურება, თითქო რაღასაცა ჰკარგავს, ჰკარგავს იმას, რაც ვეღარ ძალუძს შეიმაგროს,—ერთის სიტყვით, თითქო იმისთვისაც რაღაცა ჰკნებაო.

ყმაწვილი კაცი დაჰყრდნობია ცალის ხელით სკამს და, თითქო ახლა მიხვედრილა, რომ საქმე უფრო სამძიმოა, ვიდრე მეგონაო. ყოველივე ღონე უხმარნია, რომ ეგებ ჩავაფუ-

## კორესპონდენცია

—

**თელავი**, 2-ს აპრილს. დღეს თელავის მაზრის თავად-აზნაურთ მოიყარეს თავი, წინამძღოლის თავად ილია გ-ძის ჯორჯაძის მოწვევის თანხმად. კრება დაიწყო თორმეტს საათზედ. თავმჯდომარეობდა კანდიდატი წინამძღოლისა თავადი ზაქარია ი-ძე ვახვახიშვილი. თავმჯდომარემ მოსთხოვა კეთილშობილთ იმ უფლების საბუთნი, რომლითაც ნება გაქვთ სამაზრო საგუბერნიო კრებაზედ დასწრებისათ. კრებამ გადასწყვიტა, რომ სამის დღის განმავლობაში ყველა კეთილშობილთაგანი მოვალეა, მაზრის წინამძღოლს წარუდგინოს საბუთნი თავის უფლებათა. შემდეგ თავადმა გ. მ. ჭავჭავაძემ მოახსენა კრებას: „ბევრი სხვა-და-სხვა ამბავი არის გავრცელებული თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის შესახებ; განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ იგი სასწავლებელი ნივთიერად ძალიან, თურმე, გაჭირვებულია და გაჭირება ისე ძლიერია, რომ შეიძლება საეჭვოდ ჩაითვალოს მისი არსებობა, ვგონებ, არ იქმნება ურიგო სწორედ შევიტყოთ ეს ამბავი და, თუ შევიძლებთ, რითმე შევეწიოთ“.

თავმჯდომარემ სთხოვა იქვე მყოფს თ-დს ს. გ. ვახვახიშვილს, როგორც სასწავლებლის გამგეობის მდივანს, რომ მას დაეხატნა კრების წინაშე სასწავლებლის მდგომარეობა და დაესახელებინა მიზეზები ამ მდგომარეობისა. თ-დ ს. გ. ვახვახიშვილის მოხსენებიდგან გამოირკვა, რომ სასწავლებლის ზარალი დღეს ორას თუმნამდეა და ყოველ წლივ დახმარება ეჭირვება არა ნაკლებ ასის თუმნისა. მიზეზად ზარალისა დაასახელა სასწავლებლის გარდერობისა და ავეჯეულების ნაკლებობა, რომელიც შევსებულიყო უკანასკნელს დროს და შენობის შეკეთება, რომელიც ჯერაც არ არის შესრულებული უფულობის გამო. ამ პასუხმა ხანგრძლივი სჯა გამოიწვია. გამოითქვა აზრი, რომ სასურველია, სასწავლებელი არ ასცდეს იმ გზას, რომელიც მის დამაარსებელ კნ. ვარანცოვისაგან არის საფუძვლიანად განმარტებული, რომელსაც მტკიცე კავშირი აქვს კახეთის თავად-აზნაურთა ყოფა-ცხოვრებასთან და რომელიც სწორედ ამ ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა თანხმად არის გაკვალული. ამ გზიდგან გადახვევა დიდი შეცდომა იქმნება და ყოველთვის გამოიწვევს სხვა-და-სხვა დაბრკოლებას, რომელსაც შეუძლიან სასწავლებლის არსებობა განსაცდელში ჩააგდოს, როგორც ახლა. ამიტომ საჭიროა თავად-აზნაურობა თვალ-ყურს ადევნებდეს ამ სასწავლებლის ავ-კარგსა, რომ ამ ერთად ერთმა დედათა სასწავლებელმა უეცრივ სული არ დალიოს. კრება გადიდო საღამოს რვა საათისათვის. ვადაზედ შეიკრიბნენ და, შემდეგ ხანგრძლივის კამათობისა, კრებამ დაადგინა: „ვიშუამდგომლოთ ზედამხედველ კომიტეტის შემწეობით წინაშე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა საზოგადო კრებისა, რომელიც უნდა იქმნას მომავალს მაისში, რომ ყოველ წლივ თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელს ეძლეოდეს ასი თუმანი შესაწევრად ბანკის მოგებიდგან; ამასთანავე ვსთხოვთ თავად-აზნაურთა წინამძღოლს, ვის წინაშეც ჯერ არს, იშუამდგომლოს, რომ თელავისა, სიღნაღის და თიანეთის მაზრების თავად-აზნაურთა მიეცეთ ნება იყოლიონ თავისი სანდო კაცნი, რომელნიც გამგეობას დაეშველებიან სასწავლებლის სამეურნე საქმის წარმოებასა და წარმართვაში“. როცა ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერეს, წამოდგა თავადი ალექსანდრე, მ. ლეონიძე და მოახსენა კრებას დაახლოვებით შემდეგი *): ბატონებო, ყველას კარგად მოგეხსენებათ ჩვენის მეურნეობის დაქვეითება. ყველამ კარგად იცით, რომ ამ ბუნებით მდიდარს ქვეყანაში მეურნეობის უცოდინარობის წყალობით ისე ვართ შევიწროებულნი და სულ შეხუთულნი, რომ ცხოვრება დღევანდელ ჩვენთა მემამულეთა, რომელთაც ოციდგან რამდენსამე ას დესეტინამდე მიწა აქვთ, ბევრად უნუგეშოა უცხოელთა გლეხის ცხოვრებაზედ, იმ გლეხის ცხოვრებაზედ, რომლის ავლა-დიდება 2—5 დესეტინა მიწას არ აღემატება. ეს წარმოსდგება მეურნეობის უვიცობისაგან. ავიღოთ, მაგალითად, ფუტკრის გაჩენა და მოვლა,—ეს ყოვლად ადვილი და დიდად სასარგებლო საქმე. რუსეთში ფუტკრის ყოლა-მოვლისათვის საჭიროა დაითესოს სხვა-და-სხვა მცენარეულობა ფუტკრის საკვებად. ეს ცოტა ხარჯს არ ითხოვს, მაგრამ რუსეთის მეფუტკრენი ამ ხარჯსაც უძლებიან და კიდევ იმდენსა რჩებიან ფუტკარს, რომ ჩვენის ასის დესიატინის პატრონზედ მეტს იღებენ. ჩვენ-კი ისე ავუვსივართ ბუნებას ყოვლის კეთილითა, რომ ნახევარი არ დაგვჭირდება ფუტკრის ყოლა-მოვლისათვის, რაც რუსეთში სჭირდებათ: ჩვენი ტყე და მინდორი სავსეა იმ მცენარეულობით, რომელიც იქ ხვნა-თესვით მოჰყავთ. ამასთან აქაური თაფლიც და წმ. სანთელი ერთი-ორად უკეთესია რუსეთისაზე და მაინც არ მივსდევთ მეფუტკრეობას. არ მივსდევთ კიდევ იმიტომ, რომ არ ვიცით ხელი ფუტკრის მოვლისა. აგრეთვე არ ვიცით სხვა სამეურნეო საქმე. ყველა ცოდნაზედ სამეურნეო ცოდნა უფრო საჭიროა დღეს ჩვენთვის. მოგეხსენებათ, ფილოქსერა მოედო იმერეთს, გადმოლახა ლიხის მთა და გაიშალა ქართლის თვალ-უწვდენელს მინდვრებზედ; იქიდამ დიდი მანძილი აღარ არის კახეთამდე. გულითა და სულით გვეჯავრება ეს ჩვენის ვაზის მტერი, მაგრამ ჩვენს სიძულვილს არ დაგიდევს, იგი დაჩვეულია დაუპატიჟებლად სტუმრობას, გვეწვევა და, ჩვენდა უნებურად, ბევრს და უხვს სამასპინძლოს იშოვნის ამ კურთხეულს ქვეყანაში. რაღა დაგვრჩება, რომ ვენახები დაგვიხიანოს, ამოგვიგდოს ფილოქსერამა? ვგონებ, დამეთანხმებით, რომ ვენახებს გარეშე კახეთს თითქმის არაფერი არა აქვსრა. მარტო წარმოდგენაც-კი შესზარავს კაცსა, რომელმაც იცის რამდენად დამოკიდებულნი ვართ ვენახის მოსავალზედ. დიდი უბედურება დაატყდება თავს კახეთს, თუ ფილოქსერამ თავისი დაუღალავი ყბა ჩაავლო ჩვენს ნაზს ვაზსა. ჯერ ამისთანა მტერი კახეთს კარს არ მოსდგომია. მართალია, ბევრჯელ აუოხრებია მტრის მოსატეხს მარჯვენას ეს ტურფა ქვეყანა, მაგრამ არც კახელებს დაუკლიათ ხელი მტრისათვის. მუდამ მტერი მალე მოუშორებიათ და აღუდგენიათ მისგან ნავნები. ახლა სულ სხვა არის. მტერი ჯერ-ჯერობით უძლეველია და მისი თავიდამ მოშორება, მინამ ჩვენი ვაზის ძირკვი არის მიწაში, შეუძლებელი იქმნება. ამიტომ გამოცდილნი მეცნიერნი, რომელთაც მეცნიერულის იარაღით უბრძოლნიათ ფილოქსერასთან, გვირჩევენ სხვა-და-სხვა ღონისძიებათა მიღებას: გვირჩევენ, სხვა მცენარეულობის მოყვანას მივყოთ ხელი. მოვიყვანოთ ის მცენარეულება, რომელიც ამ კურთხეულს ქვეყანაში ადვილად მოვა და რომელსაც დიდი გასავალი აქვს. აგრეთვე მივყოთ ხელი იმ სამეურნეო წარმოების გაძლიერებას, რომელიც ახლა ჯერ პირვანდელს მდგომარეობაშია ჩვენის უვიცობის გამო. ასეთს მდგომარეობაშია შინაურ პირუტყვისა და ფრინვლის განმრავლება, ფუტკრის საქმე, აბრეშუმის ჭიის მოვლა, მისი პარკისაგან აბრეშუმის კეთება, აბრეშუმის ქსოვილების მზადება და სხვა-და-სხვა. ყველა ამის გასაუკეთესებლად საჭიროა სამეურნეო ცოდნა. ამაზედ ბევრი ლაპარაკი ჰქონია თავად-აზნაურობას წინადაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთს ეს ჩვენი აუცილებელი საჭიროება ხელზედ დაუხვევნიათ, პირად მტრებთან საბრძოლველ იარაღად გარდუქმნიათ, გააქვთ და გამოაქვთ, სხვა მეცნიერებას ადარებენ, არიან იმის აწონდაწონვაში. აცა, რომელი მეცნიერება რომელზედ მძიმე მოვაო. ის-კი დაუვიწყნიათ, რომ ჩვენი ძროხა ხბოს ძლივ-ღა ზრდის მოუწველადაც, რომ დაკლული ხუთს ფუთს ძლივს იწონს ძვლიან-ტყავიანად, რომ ჩვენი ცხენი ათს ფუთს ეტლითაც ძლივს ატარებს, რომ დღიური მიწა ერთი-ორად და ერთი-სამად ძლივს გვიბრუნებს ნათესსა და სხ. და სხ. ისინი ჩვენსავით მიწას უნდა ჩაჰყურებდნენ, მიწისაგან მოელოდნენ წლიურს სარჩოსა, მაშინ დაავიწყდებოდათ ყოველი „იზმი“ და დაფაცურდებოდნენ სამეურნეო ცოდნის შეძენისათვის ისევე, როგორც მთელი რუსეთი დააფაცურა 1890 და 1891 წელმა. მანამ სხვანი მოგვეშველებიან, ჩვენცა გვმართებს ამაზედ ფიქრი და ხელის განძრევა. ამისათვის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია კახეთში სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის დაარსება. ამ ამხანაგობამ ჯერ-ჯერობით ერთ ადგილას უნდა გამართოს სამაგალითო სამეურნეო სადგური. ამისათვის საჭირო არის 20 დესეტინა მიწა და შესამუშავებლად ფული. ჩემთან ერთად თ-დმა ზაქარია რ. ჭავჭავაძემ, აგრონომმა ბ-ნმა ვერმიშოვმა იშრომეს და ამ შრომის ნაყოფი გახლავთ ეს წესდება, რომელიც ხელში მიჭირავს და რომელსაც ათ წუთს წავიკითხავ, თუ ნებას მიბოძებთ. თუ ინებებთ ამხანაგად ჩარიცხვას, უეჭველად მოისმენთ წესდებასაც, რომ ყველაფერი, რაც შესასწორებელი აღმოჩნდება, ახლავე შევასწოროთ.“

წესდება წაკითხულ იქმნა. აი რა არის წესდების პირველის მუხლით ამხანაგობის აზრად აღიარებული:

„კახეთის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობას, რომელიც არსდება თელავის მაზრაში, აზრადა აქვს შეეშველოს სამეურნეო ცოდნის ხალხში გავრცელებას და მოედანი გაუფართოვოს. როგორც თვით მეურნეობას, აგრეთვე სამეურნეო ნაწარმოების გასაღებასაც საქართველოში, ამისათვის: ა) ჰმართავს ხშირად კრებას ამხანაგთა და იქონიებს სამეურნეო საგნებზედ სჯასა; ბ) ჰნიშნავს მეურნეთა კრებას; გ) დააარსებს წიგნთ-საცავს და მუზეის, რომლებშიაც მოუყრის თავს ყველა იმ საგნებს და თხზულებათა, რომლებსაც აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება სასოფლო მეურნეობასთან; დ) დააარსებს სამაგალითო სასოფლო სამეურნეო სადგურებსა; ე) შეძლებისდა გვარად გაავრცელებს თავის წევრთა შორის სამეურნეო თხზულებათა და ვ) მიიღებს გამოცდილ მეურნეთა“.

წესდების წაკითხვის შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ იგი გადასაკეთებელია, რომ კიდევ საჭიროა მისი შევსება და ამისათვის ამოირჩიეს: თ-დი ს. ნ. ვეზირიშვილი, თ-დი ს. გ. ვახვახიშვილი და ბ-ნი ი. ა. ზარაფიშვილი, რომ მათ შემდგენელთა თანადასწრებით განიხილონ წესდება, შეასწორონ და შეავსონ. წესდების კითხვამ და თ. ა. მ. ლეონიძის სიტყვამ მოაგონა თავად-აზნაურობას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მამულები: „სკრა“, რომელიც დარჩა ბანკს და რომელშიაც ფიქრობდნენ სამეურნეო სკოლის დაარსებასა, „არწრუნისეული ქარვასლა“, რომელიც უნდოდათ გარდაეცათ სკოლისათვის და „ოძისი“, რომელიც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას შესწირა თავის განსვენებულ მამის სურვილისამებრ, დიდად პატივცემულმა თავადმა ზ. ვ. ერისთავმა და

*) ბოდიშს ვიხდი თ-დი ა. მ. ლეონიძის წინაშე, თუ მცირე რამ მეტ-ნაკლებობით არის მოყვანილი მათი სიტყვა.

ავტ.

---

ჩეჩო, დავავიწყო, გულიდამ გადავაგდებინო პირველში ისეთი ყოვლად უმნიშვნელო უსიამოვნებაო. მის ჭკუაგონებასაც შიჰმართა, ეცადა, იქნება ან ხუმრობაში ჩავატაროვო; შენდობაცა სთხოვა, თვით იდვა თავს ბრალი, დამცირდა და იქნება უფრო მეტად, ვიდრე უნდოდა, მაგრამ მაინც ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაუარა.

ასე ჰგონია თითქო, რომ აღარაფერს შეუძლიან გამოიყვანოს ეს ქალი იმ ღრმა საგონებელიდამ, რომელშიაც ჩავარდნილაო.

და აი დაუხრია თავი, დაჰყურებს ზედ და შიში ეხატება სახეზედ: „რა არის, ხომ იცი, რომ ძვირფასნი ვართ ერთმანეთისათვის?“

— მაშ რაღად ვჩხუბობთ ასე ადვილად, ასე სასტიკად და რად ვეკიდებით ერთმანერთს ასეთის გაბოროტებით?

— რა არის მერე, ჩემო სიცოცხლე, პირველში ხომ სულ უმნიშვნელო მიზეზი იყო.

— კიდეც ეგ არის! —არ გახსოვს, რას ვეუბნებოდით ერთმანერთს? ერთმანეთს აღარც-კი აცდიდით და ვსცდილობდით, რაც შეიძლება, უფრო საწყენი სიტყვები გვეკადრებინა ერთურთისათვის. ღმერთო, საშინელება არ არის განა, რომ ერთმანერთს კარგად ვიცნობთ და ეს ცნობა-კი იმისთვის გამოვიყენეთ, რომ უფრო ძრიელ გვეწყევინებინა, უფრო ძრიელ გვეტკინა ერთმანეთისათვის გული! და აი ესა გვგონია სიყვარული, ესა გვგონია მიჯნურობა.

— ჩემო ნუგეშო, რა არის რომ ეგრე გული არ მოიკლა მცირეზედა, უპასუხა ყმაწვილმა და თან ცდილობდა, რომ უფრო ტკბილი ლაპარაკი დაეწყო,—რა ნაირადაც უნდა უყვარდეთ ადამიანთ ერთმანერთი, არ შეიძლება, რომ ათასში ერთხელ, სადავო და საკამათო არა გამოერიოთ-რა. სხვაფრივ როგორ შეიძლება!

— არა, არა!—გულ მხურვალედ უპასუხა ყმაწვილმა ქალმა,—ისეთი სიყვარული უნდა იყოს, რომ ჩხუბი და უსიამოვნება აღარ შეიძლებოდეს; ან არადა-მაშ მე შევმცდარვარ და ის, რაც სიყვარული მგონებია, სულ არა ყოფილა-რა იმის მეტი, რომ...

— ნუ ეჭვობ სიყვარულის შესახებ,—საჩქაროდ გააწყვეტინა სიტყვა ყმაწვილმა კაცმა და ცხოველისა და აღგზნებულის მჭევრმეტყველებით აუწერა ის გრძნობა, რომელიც აკეთილ-შობილებს ადამიანს, რომელიც გვასწავებს, რა შეწყნარებით უნდა ვეკიდებოდეთ ადამიანის სისუსტე-ნაკლულევანებას, რომელიც გვანიჭებს უდიდესს ნეტარებას და, თუმცა მცირე უსიამოვნება არ აგვცდება ხოლმე, მაინც მტკიცედ გვაკავშირებს ერთმანერთ შორის. ქალს თითქმის არ ესმოდა, რასაც ყმაწვილი ლაპარაკობდა. თვალნი მისნი თითქო უაზროდ, გონებადაუტანებლივ გაიყურებოდნენ ბაღისკენ, რომელიც ნელა-ნელა ჰკნებოდა და უფრო და უფრო ყვითლდებოდა; ტურფა ასული ისუნთქავდა მომაკვდავ მცენარეთა მძიმე სუნს და ფიქრი მისი დასჭრიალებდა გაზაფხულს, იმედებს, ყოვლად-შემძლებელს ტრფობა-სიყვარულს, რომელიც ისევე ჰკნება, როგორც ყვავილი შემოდგომაზედ.

— დამჭკნარი ფოთლები!—სთქვა მან გულ-დამშვიდებით, წამოდგა სკამიდგან და ფეხით დაუწყო აქეთიქით ფანტვა ფოთლებს, რომელიც ისეთის გაჭირვებით მოეგროვებინა ქარს.

ქალი გაემართა ხეივნის გზით სახლისაკენ; ყმაწვილი მისდევდა უკან, ცოტა მოშორებით და ჩუმად იყო, იმიტომ რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა. თავ-ზარი ჰქონდა დაცემული და სულ მოწყვეტილი იყო; თავის თავს ამას ეკითხებოდა, მიმიკარებს ახლოდა? ან ვინ იცის, რა განუზომელი მანძილია ახლა ჩვენ შორის!?

ქალი მიდიოდა თავ-ჩაღუნული და უყურებდა ყვავილებს. აქა-იქ მოსჩანდა კიდევ ქრისტეს-თვალა, თითქო დაჭკნობილ ქალადის ყვავილიაო; გეორგინებს თავიანთი სხვილი თავები დაეყრდნოთ უკვე დამტვრეულ ღეროებზედ; ზოგი ყვავილი სულ გამხმარიყო, ფოთლები დამჩაჩოდა და ეთხოვებოდა ამ სოფელს. მწვავე გრძნობა მწუხარებისა და ნაღვლიანობისა შეეპარა ყმაწვილს ქალს გულში. ყვავილებს სულთ ებრძოდათ, ის-კი ეხლა ივსებოდა ჯან-ღონით და ემზადებოდა, რომ სიცოცხლის ზამთარს მიჰგებებოდა.

ასე მიეფარნენ ორივენი ხეივნის ბოლოს. ხოლო ცარიელი სკამი დარჩა იმ ფარდულში, სადაც ყოველივე სჭკნებოდა და სადაც ქარი კვლავ გულმოდგინედ აგროვებდა ერთად ფოთლებს, თითქო საფლავის ბექობი უნდა აგოსო.

და რაც დრო გადის, ჩვენც ყველანი, სულ ყველანი, რიგ-რიგით ვსხდებით ცარიელ სკამზე, ბაღის კუნჭულში, და ვუმზერთ თვალ-მოუშორებლივ დამჭკნარ ფოთოლთა პატარა ბექობს.

გ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც იმავე სამეურნეო სკოლისათვის უნდოდათ. დაიწყეს კითხვა, ამ მამულს ან რა დანიშნულება აქვთ დღეს და ან რა დანიშნულება მოელით შემდეგში. ამაზედ ბევრმა იცოდა თითოეული ამბავი და საყურადღებო კამათობაც გამოიწვია.

ნადიკვრელი

---

**სუფსა.** რკინის გზის სადგური (ოზურგეთის მაზრა). ათი-თორმეტის წლის წინად უბრალო ტყიანი ალაგი იყო, მაგრამ რა-კი გაიყვანეს ტფილისის რკინის გზა, აშენდა აქ რკინის გზის სადგური, ალაგმა ფერი იცვალა, სადგურის მიდამო გაცოცხლდა, გაიმართა რამდენიმე შენობა თანდათან მატულობს მათი რიცხვი, ვაჭრები და ხელოსნები და დღეს, ოდესმე ოდნავ დასახელებული სოფელი, მოზრდილ დაბას დაემსგავსა. ამ დაბის ზრდას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მის მიდამო სოფლები მჭიდროთ არის დასახლებული.

აქეთკენ დიდ-ძალი სიმინდი მოდის, რომელიც ისყიდება ვაჭრების მიერ სუფსაში და შემდეგ ბათუმიდგან საზღვარ გარეთ იგზავნება. ცოტა არ იყოს ხელს უშლის მცხოვრებლებს ზაფხულობით უწყლობა. ასეთსავე გაჭირვებაში არიან ამ მიზეზით რკინის გზის მოსამსახურენი. თუმცა ახლო-მახლო ჩამოდის მდინარე სუფსა, მაგრამ ამ დროებით მღვრიე და თბილია. ამის გამო მცხოვრებლებმა მიჰმართეს ბ-ნ სადგურის უფროსს ივანოვს და სთხოვეს გვიშუამდგომლეთ რკინის გზის მთავრობის წინაშე, რომ უსასყიდლოდ დაგვითმოს ჭის ამოსაყვანი ქვა. სადგურის უფროსმა იშუამდგომლა, ვისთანაც ჯერ იყო, და გამოუგზავნეს მცხოვრებლებს ორი ვაგონი ქვა. მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ამ კეთილს საქმეს არავითარი ნაყოფი არ გამოუღია და ვინ იცის ეს ნაჩუქარი ქვა თითო-ოროლად ვინ წაიღო. ამიტომ სასურველია სანამ ეს ქვა სულ უსარგებლოდ არ გამქრალა, ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს.

ი. ბასილეთელი

---

## დავა

პლატონის ხელ-ნაწერის გამო

როგორც სჩანს განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის ქვრივის წერილიდან, რომელიც «Н. О.»-ში დაბეჭდილი, ბ-ნ ჟორდანიას მიუწერია ჩვენის არხეოლოგის ქვრივისთვის წერილი და უთხოვნია, რომ ამ წერილზედვე დამოწმებინა „რომ მე შემდეგ თქვენის ქმრის გარდაცვალებისა გიახელით და განგიცხადეთ მოწმების თანადასწრებით: „განსვენებულმა თქვენმა ქმარმა მაჩუქა მე ერთი ნაწილი ისტორიულის რვეულისა (გვერდ: 1—184, 191—277, 342—583, 973—978). რომელიც სხვა-და-სხვა ხელით არის ნაწერი, და რომ ერთი წილი ამ რვეულისა—[illegible]აზედ ამოხეული იყო (185—190, 278—341, 584—972), და განსვენებულის არქეოლოგის წიგნთ-საცავში არის შენახული წითელ ყდაში. ამასთან განგიცხადეთ, რომ ამ ხელთ-ნაწერს, როცა გნებავთ, დაგიბრუნებთ. თქვენ იცოდით, რომ ხელთ-ნაწერი ჩემს ქმარს ნასყიდი ჰქონდაო. მაშინ-კი მომთხოვეთ ეს რვეული, მაგრამ ჩემის თხოვნით ისევ დასტოვეთ ჩემთან, რადგანაც მეჭირვებოდა წერილისათვის, რომელსაც ვამზადებდი რუსულად—„ანტონ კათალიკოზის შესახებ“.

რადგანაც ეს ამბავი განსვენებულის ბაქრაძის ქვრივს პირველად სმენია ჟორდანიასაგან ახლა, ამიტომ ვერ დაუკმაყოფილებია მთხოვნელის სურვილი და მოწმობის უარი უთქვამს. მაგრამ „ბ-ნი ჟორდანია გაზეთში სწერს და მაინც თავისას ამტკიცებს, რომ იგი ხელთ-ნაწერი ვითომ ჩემს ქმარს მისთვის ეჩუქებინოს“.

დასასრულ განსვენებულის დ. ბაქრაძის მეუღლე ჰზრძანებს, რომ ვსთხოვე ბ-ნს ჟორდანიას ეჩვენებინა ჩემთვის სადაო ხელთ-ნაწერი, რადგანაც, როგორც მახსოვს, ჩემის ქმრისაგან გამეგონა, რომ განსვენებულის წიგნთ-საცავიდგან ბ-ნ ჟორდანიას კიდევ სხვა ხელთ-ნაწერებიც ჰქონდა წაღებული, თუმცა დაპირდა, მაგრამ ეს დაპირება არ შეასრულა. შემდეგ იძულებული ვიყავი წერილით მიმემართა. ბ-ნი ჟორდანია მპირდებოდა და, ბოლოს, წერილი მომწერა და უარი განმიცხადა, ვერ დაგიბრუნებთ ხელთ ნაწერს, ვიდრე ჩვენს მოწინაღმდეგებს სამართლით არ გავუსწორდებიო.

ჩემის ქმრის გარდაცვალების შემდეგაც გაზეთ „ივერიის“ შემწეობით მივმართე იმათ, რომელთაც განსვენებულის წიგნები წაეღოთ და ვთხოვე დაებრუნებინათ, მაგრამ ჩემი თხოვნა, სამწუხაროდ, უქმად არ ისმინა. დაუბრუნებლობას ვინა სჩივას, იმის შეძლებასაც არ მაძლევენ, რომ ჩემისავე საკუთრების წყალობით შევადარო გარემოებანი, რომლის მონაწილედაც მე თითონა მხდიან.“

---

## ძველი ამბავი

ჯერ ბატონ-ყმობა არ იყო მოსპობილი, გულბაათ ჭავჭავაძის მსახურად წერეთლის ნაყმევი ჰყავდა. წერეთელმა არა ერთხელ მისწერა წერილი ჭავჭავაძეს ჩემი ნაყმევი გამომიგზავნეო, მაგრამ ჭავჭავაძე არამც თუ ნაყმევს უგზავნიდა, წერილის პასუხსაც არა სწერდა. ჭავჭავაძის ასეთის საქციელით გულ-მოსული წერეთელი, შეიარაღებული ორის მხლებელით, გაემგზავრა კახეთისკენ ჭავჭავაძესთან.

გულბაათ ჭავჭავაძე სადილ წინ თავის სასახლის აივანზედ დასეირნობდა და ჩიბუხს სწევდა, როცა წერეთელმა თავის მხლებლებით იმის ეზოში ცხენები შემოაჭენა. სტუმართ-მოყვარე მებატონის მოსამსახურეები თვალის დახამხამებაზედ გამოცვივდნენ და ახლად მოსულთ ცხენები ჩამოართვეს. გულბაათმა ერთი-კი გადაჰხედა სტუმრებს და კვლავ თავის ჩიბუხის წევა და აივანზე სეირნობა განაგრძო.

წერეთელმა მსახურთაგან შეიტყო, რომ გულბაათი აივანზე დადისო და სწრაფად აიჭრა აივანზე, მიესალმა და აჩქარებითა ჰკითხა.

— თქვენა ხართ გულბაათი?

გულბაათმა იცოდა წერეთლის მოსვლის მიზეზი და დინჯად, აუჩქარებლივ და კილო-გაჭიანურებით უპასუხა:

— დიაღ...

— თქვენთანაა ჩემი ნაყმევი ბიჭი?

— დიაღ...

— მიიღეთ ჩემი წერილი?

— დიაღ...

— მერე რატომ არ გამოისტუმრეთ?

— დიაღ...

გულბაათის ასეთმა აუჩქარებლობამ და ერთისა და იმავე „დიაღ“-ის თქმამ წერეთელი გააცეცხლა, გაცხარებულმა იტაცა ხელი ხანჯალზედ და ხმას შეუმაღლა.

— მაგ გვარის ქცევისათვის, არ იცი, რომ აქვე დაგჩეხ?

გულბაათი წარბსაც არ იხრიდა და თავისებურად კვლავ უპასუხა.

— დიაღო...

წერეთელმა აქ-კი ველარ მოითმინა და იშიშვლა ხანჯალი.

გულბაათმა გაიღიმა და წყნარად უთხრა:

— ჩემო ძმაო, თუ სტუმრად მოსულხარ, ჯერ მესტუმრე და შემდეგ საქმეზედ მოვილაპარაკოთ.

წერეთელს ამ სიტყვებით, თითქო ცივი წყალი გადაასხეს, უცებ დამშვიდდა და ხანჯალი ჩააგო.

გულბაათმა ხელი მოჰხვია სტუმარს და დარბაზში შეიყვანა. სტუმარ-მასპინძელმა ორი დღე და ღამე ქართველურად გულ-უხვი დრო ატარეს. ამ დროს გატარებაში ორივენი შერიგდნენ და დამეგობრდნენ. მესამე დღეს წერეთელი გამოეთხოვა თავის მასპინძელს და ისე გამოემგზავრა სახლისაკენ, რომ თავის ნაყმევის დაბრუნებაზე ხმაც აღარ ამოუღია.

---

## აჭარა

### III

(შემდეგი*)

აჭარისა და სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისა და გათათრების ამბავს აქ ასე მოგვითხრობენ მოსწრებულნი და დროეულნი კაცნი:

როცა ოსმალნი გაძლიერდნენ და დაიპყრეს საბერძნეთი, შემდეგ საქართველოსაც მოადგნენ. მაგრამ საქართველო ადვილად ვერ აიღეს. ქართველთა სძლიეს ოსმალნი, მთლად გაწყვიტეს თითქმის ჯარი და, რაც გადარჩა, ისინიც ტრაპიზონს იქით გადარეკეს. ოსმალთ კიდევ სცადეს შემოსევა, მაგრამ ქართველთ უკუ აბრუნეს. ოსმალთ გაუძნელდათ საქართველოს დაჭერა და ასე მოახერხეს: წამოვიდნენ საომრად და წინ გამოიმძღვარეს ოც-და-ათი ათასი ახლად გათათრებულნი ბერძენნი; ქართველთ იცნეს ბერძნები, რადგან ქრისტიანებად დაჰსახეს მეგობრობით მიეგებნენ. გათათრებულ ბერძენთაც ეს უნდოდათ, შემოვიდნენ საქართველოში და მათ შემოჰყვნენ ოსმალნიც. მალე ოსმალოს სხვა ჯარიც მოეშველა. გაიმართა ომი და რამდენისამე დღის შემდეგ აჭარა დამორჩილებულ იქმნა. ქართველთ ყოველივე შეიტყეს ბერძენთა ეშმაკობისა, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიანღა იყო. ოსმალთ აჭარა-ქობულეთი დაიმორჩილეს და ფეხი გაიმაგრეს. ქართველთ ბევრჯერ სცადეს და აჯანყდნენ, მაგრამ სამუდამოდ-კი ველარ გარეკეს ოსმალნი.

ოსმალნი თან და თან გაძლიერდნენ, ხოლო ქართველნი უკან-უკან წავიდნენ. ქართველთა დავრდომილებას ოსმალნიც უწყობდნენ ხელს: შესყიდვით შოულობდნენ ქართველთა მოღალატეებს. პირველს ხანში აჭარის თავადნი გულ-ამღვრევით ეკიდებოდნენ ასეთს საქმეს და გადაბირებულს ქართველს ერთ დღესაც არ აყენებდნენ აჭარაში. მაგრამ გავიდა ხანი და ამათი ძალაც დაეცა; ხალხს მფარველ-პატრონობა მოაკლდა და იწყო აჭარიდამ ქართლ იმერეთში გადასახლება. სახლებს, ყანებს, ვენახებს და მარნებს სტოვებდნენ ოხრად და, რაკი ოსმალთ მთავრობას ვერ იშვნევდნენ, მირბოდნენ საქართველოში, სადაც ქართველთ მეფე, ან მთავარი იჯდა.

აჭარაში სოფელი არ არის, რომ რაიმე ძველი ამბავი არ იცოდნენ და თავიანთ მონათესავეთა შესახებ არ ამბობდნენ, რომ ძველად ჩვენი ნათესავები აჭარიდამ ქართლსა და იმერეთში გადასახლებულანო. ამ გადასვლ-გადმოსვლისაგან ოსმალოს მთავრობა ყოველთვის შეწუხებაში ყოფილა, რადგან ქვეყანა თითქმის ასის წლის განმავლობაში აღარ დამშვიდებულა, ასე რომ არ ყოფილიყო, ოსმალები ადვილად აიღებდნენ საქართველოს დანარჩენ ნაწილებსაც და ბოლოს დაღისტნამდე ჩავიდოდნენ.

გათათრების საწინააღმდეგოდ აჭარლებმა დიდი სისხლი დაჰღვარეს. ერთ აღდგომის მეორე დღეს მარადიდიდამ ასორმოცი კაცი ჩაცვივდა ჭოროხში და დაიღუპა სამუდამოდ. ვინც გათათრდა, სახელმწიფო ხარჯისაგან გაათავისუფლეს, ხოლო ვინც არა, იმას ერთი ორად შეაწერეს. მალე თავად-აზნაურნიც შეისყიდეს და თავადობაც და აზნაურობაც მისცეს. თავადებს ბეგობა მისცეს, აზნაურებს—აღობა; სხვა-და-სხვა საჩუქრებით მოინადირეს და აღუთქვეს: რამდენს კაცსაც გაათათრებთ, იმდენს ალთუნს მიიღებთო (10 მან.) თავად-აზნაურობის გათათრების შემდეგ სამღვდელოებას მიჰყვეს ხელი და დაუწყეს გათათრება, მაგრამ სამღვდელოებამ დიდ ხანს იმაგრა თავი, ბოლოს-კი ამათაც მოაკლდათ ძალა და ზოგი გათათრდა და ზოგნი ქართლ-იმერეთში გადაიხვეწნენ. ხალხი თათრობის დროსაც არ სტოვებდა დიდხანს ეკკლესიების პატივისცემას და სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ოსმალებმა აჭარაში ისე დააქციეს და დაარღვიეს ეკკლესიები; მთელს აჭარაში ერთი ეკკლესიაც აღარ გაუშვეს დაუქცეველ-დაუნგრეველი.

ვინ იცის, იქნება ეს გარდმოცემა ხალხისა ნამდვილად მართალი ამბავია და სწორედ ამიტომაც არის ისე მცირედ აჭარაში ძველ ტაძართა ნაშთნი.

ვიდრე ქართველთ გაათათრებდნენ, ბევრნი სთხოვდნენ ოსმალთ, დაგვტოვეთ ჩვენს სჯულზედ და გვიმსახურეთ ისე, როგორც თქვენ გენებოსთო. მაგრამ ოსმალთ არ იყაბულეს. ქართველს ჩვენს სამეფოში ვერ შევინახავთ; განგვიდგებიან, გვიღალატებენ, ომში თავიანთ მეფეს მიემხრობიანო. სარწმუნოების დაძლევის გამო ზოგს არჩობდნენ, ზოგს თავსა ჰკვეთავდნენ და ზოგსაც ჯაჭვითა და თოკებით აბამდნენ და სცემდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ოსმალთ გამოუცხადებიათ, ოღონდ თქვენ-კი გათათრდით და არც ხარჯს გამოგართმევთ, არც ჯარის-კაცებსა და სხვაფრივაც დახმარებას აღმოგიჩენთო. ისე მოგივლით და გიპატრონებთო, როგორც ჩვენს ნამდვილს შვილებს, ოღონდ შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მაჰმადიანობა მიიღეთო.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 63.

---

# უცხოეთი

ავღანისტანის ემირის პროკლამაცია *).

„ჩემს ერთგულ-ქვეშევრდომ არბაბებს: იაკუბს, ალლახყულის, ყურბანს და აბუ-ბექირგურჯის ძლევამოსილსა ქალაქსა ჰერათსა შინა.

«ცნობილ იყვენით, რამეთუ მე, მორჩილი მონა უფლის კარისა, ემირი აბდურახმანი, ემირი ავღანისა, გწერთ ჩემს ერს რამდენსამე სტრიქონს შემდეგისა გამო, ჰიჯარის 1297 წელს მე მესმა, რომ ინგლისის ჯარმა გადმოვლო ავღანის საზღვარი და რომ თქვენ დიდად უკმაყოფილონი ხართ იმათის თქვენს ქვეყანაში ყოფნით. დიდად მოუსვენრად იყავით; ინგლისის ჯარი ავღანისტანში რამდენმამე თქვენგანმა უგუნურმა მოიწოდა.

„როდესაც ინგლისელები თქვენს მიწა-წყალზედ დადგნენ, ორისავე ხალხის გული მოუსვენრად იყო. თქვენ იმის შიში გქონდათ, ინგლისელები აღაოხრებენ ჩვენს ქვეყანას; და ჩვენ-კი მონებად გაგვხდიანო; ინგლისელებს-კი ეშინოდათ, მთელი ერი არ შეკრბეს ერთად და არ ამოგვჟლიტოსო. ამ დროს ავღანისტანში არც ერთი კეთილ-გონიერი, მცოდნე და შორს მხედველი კაცი, არ იყო, რომ უნარი და ჭკუა ჰქონოდა და აეცილებინა განსაცდელი, რომელიც ორსავე ერს მოელოდა, ინგლისელებსაცა და ავღანელებსაცა დასასრულ, მე, რომელიც ყოველთვის, დღეცა და ღამეცა, თვალყურს ვადევნებდი ავღანისტანს, შევიტყე, რომ ორსავე ერს უჭირდა კაცი, მცოდნე ცხოვრებისა; გაზიარებული მაქვს რა თქვენთა საზოგადო წუხილი და სიხარული სამშობლოსა ჩვენისა, მისი სარწმუნოება, მისი სისხლი, მისი ენა და გული მქონდა-რა წყალობითა უფლისათა ცოდნა ცხოვრებისა, ვიცოდი რა არს კეთილი და რა ბოროტი, გადავწყვიტე, არა თანადებ არს ჩემდა-მეთქი უცხოსა ადგილსა შინა ცხოვრება, როდესაც სამშობლოსათვის გამოსადეგი ვარ. დავსტოვე სხვასა ქვეყანაში ცოლნი ჩემნი და შვილნი ჩემნი მფარველობასა ქვეშა უფლისასა და გამოვეშურე ავღანისტანს. მივენდე რა ნებასა ღვთისასა მოიმედე უკანასკნელის წინასწარმეტყველის (მაჰმადის) ბრწყინვალე სარწმუნოებისა, გადავიფარე სხეულსა ზედა იგივე სისხლ-შესვრილი სამოსი, რომლითაც განშვენებული ჰქონდათ მკერდი მამაცთა ავღანელთა. მას შემდეგ მონაწილე ვიყავ თქვენის საზოგადო ხვედრისა, თქვენის მწუხარებისა და სიხარულისა. დიდებულმა და ყოვლად შემძლე ღმერთმა შეწყნარებითა გადმოხედა რა ცდასა ჩემსა და იცნო იგი ჯილდოს ღირსად, განაღო ჩემსა წინაშე უზენაესი კარი წყალობისა თვისისა. აღვადგინე პატივი ავღანელთა, ავღანისტანი კვლავ დიდებული შეიქნა, ცნობი-

*) გაზ. „კავკაზს“ თავის მერველ კორესპონდენტისაგან მოსვლია პროკლამაცია ავღანისტანის ემირისა, რომელშიაც იგი თავის ქვეშევრდომთ ნებასა სთხოვს ინგლისში მოგზაურობისას. ეს პროკლამაცია იმდენად საყურადღებოა, რომ შეუმოკლებლად, სიტყვა-სიტყვითა ვბეჭდავთ.

ლი დედამიწის სახელმწიფოთა შორის; იმის სახელს პატივისცემით იხსენიებენ სხვანი ერნი; ხოლო ამა სიკეთისთვის მადლობა უნდა შევსწიროთ მხოლოდ ყოვლად მოწყალესა შეუდარებელსა ღმერთსა. ყოველ წუთს მთელის ჩვენის სიცოცხლისას მადლობასა უნდა ვწირავდეთ ამა ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რომელსა ჩვენ უფრო ვუყვარვართ, ვიდრე მშობელნი ჩვენნი და რომლისა ნებასა უნდა დავემყაროთ სრულიად. მე, ემირი თქვენი, დღესა და ღამეს შევსთხოვ მას ვედრებითა დიდითა, რათა არა მოგაკლოთ მან წყალობა თვისი ჩემს ერს და მოგანიჭოთ სიკეთე, დიდება და ქონებრივი წარმატება. სხვა საგანი არა მაქვს-რა ამ ქვეყნად ამის მეტი, რომ გმსახურებდეთ კეთილად და ჩემსა შემდეგ სახელი კეთილი დავტოვო თქვენს შორის. სამსახურსა თქვენც შინა ყოველთვის უნდა გაჩვენებდეთ, რა არს სასარგებლო თქვენი და რა მავნებელი. ეხლა მინდა რჩევა თქვენი მოვისმინო და ნება-რთვას დაგეკითხოთ იმ მოგზაურობისათვის, ვინაიდგან განზრახვა მაქვს წარვიდე ლონდონს ჩვენის ძვირფასის სარწმუნოების საკეთილოდა და ჩვენის სახელოვანის სამშობლოს დიდებად. სჭიროდა ვსთვლი თქვენ მაგიერ მოველაპარაკო მბრძანებელთა ქვეყნისათა და მათ მრჩეველ ვეზირებს; ამ თავითვე დარწმუნებული ვარ რომ განზრახვასა ჩემსა გონიერად ჩასთვლით და თუმცა ფეხი ჩემი შეპყრობილი აქვს ნიკროსის ქარსა, მაინც არა მინდა დავუტევო სამსახური ჩემი ავღანისა ერის მიმართ დაუსრულებლად. ვიდრეღა სული ჩემი არა დასტოვებს სხეულსა ჩემსა, არ მოვიშლი სამსახურსა ავღანის სამშობლოსასა და სარწმუნოებისასა, ვინაიდგან ერთად-ერთი საგანი და ნუგეში ცხოვრებისა ჩემისა არის— აღვადგინო ძველი დიდება ჩემის სამშობლოსი, დავსტოვო ჩემს შემდეგ სახელი კეთილი და დავიმსახურო გულწრფელი სიყვარული ერისა ჩემისა. მოგმართავთ რჩევად და ნება-რთვად საზღვარ-გარედ მოგზაურობისათვის. თუ თათბირს შემდეგ განზრახვასა ჩემსა იცნობთ სასარგებლოდ, დეე ყოველმა ნაწილმა მცხოვრებლებისამ, ყოველმა რაზმმა ჯარისამ, ყოველმა სოფელმა და დაბამ მაცნობოს ესე ცალკე წერილით; ესე საჭიროა სულისა ჩემის მშვიდობისათვის; ამ თავიდგანვე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჩემს უყოფნელადაც ავღანისტანში დაცულ იქმნება მშვიდობა და წესიერება. ჩემის მოგზაურობის დროს მოლაპარაკება მექნება თქვენის სახელით სხვა ერის ყველა წარმომადგენელთან, სულ ერთიან, მეგობარნი იქმნებიან იგინი ჩვენნი, ნახევარ-მეგობარნი თუ მტერნი. ამ გვარად თვალითა ჩემითა განვარჩევ რა მტერთა ჩვენთა მეგობართა ჩვენთაგან და გავიცნობ სხვათა ერთა ცხოვრებასა, დაბრუნებისას გაუწყებთ თქვენ (ერს) ყოველსავე წვლილად. უამამგზავრებოდ ძნელია აზრი თავისი განაცხადოს თავისუფლად და უშიშრად. თქვენი საზოგადო აზრი კანონი იქმნება, რომელსა სიტყვა შეუბრუნებლად დავეთანხმები. გულწრფელად შევთხოვ უფალსა, რათა მან, ამასაცა და იმ ქვეყნებშიაც, არა დასტოვოს წყალობასა და მფარველობასა თვისსა გარეშე მამაცი ერი ავღანისა.

ემირი აბდურახმანი“.

## გასართობი

—

ერთი მთვრალი კაცი ცხენიდგან ჩამოვარდა, მაგრამ არა დაუშავდა-რა. წამოდგა როგორც იყო და შესთხოვა ღმერთსა:

— ღმერთო, შეძლება მომეცი ისევე ცხენზედ შეჯდომისაო.

შეახტა ცხენს, მაგრამ ისე ძლიერ, რომ ცხენის მეორე მხარეს გადავარდა და მხარი იღრძო. ამოიოხრა და საყვედურითა სთქვა:

— ოჰ, უფალო! მეტად დიდი შეძლება მომეცი და ამიტომ ვიღრძე მხარიო.

**

ჩინეთის იმპერატორმა უბრძანა ერთს თავისს ისტორიკოსს:

— ამიერიდგან აღმიკრძალავს შენთვის ჩემის სახელის ხსენება.

მანდარინმა მაშინვე წერა დაიწყო.

— რას სჩადიხართ? ჰკითხა იმპერატორმა.

— იმასა ვწერ, რაც თქვენმა უდიდებულესობამ მიბრძანა.

**

ერთმა ინგლისელმა ებრაელთაგან დიდძალი ფული ისესხა იმ იმედით, რომ შეძლებული ბიძა მომიკვდება და ვალს გადავიხდიო, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, იმისმა მოხუცმა ბიძამ ცოლი შეირთო და შვილიც მიეცა, როდესაც დავალიანებულმა ყმაწვილმა კაცმა შეიტყო ეს ამბავი, სთქვა:

— ეს ყმაწვილი სწორედ მესიაა, რადგან ამ ქვეყნად ებრაელთა დასაღუპად მოვლენილაო.

# დეპეშა

5 აპრილი

**პეტერბურგი.** მინისტრთა კომიტეტის დებულებით დადგენილია: სრულიად აღეკრძალოს ყველა რუსეთში მომქმედ დამზღვევს საზოგადოებას, როგორც რუსეთის მცხოვრებლებისას, ისე უცხო ქვეყნელებისას აღეკრძალოს პირობის შეკვრა სიცოცხლის დაზღვევისა, რომლითაც სიცოცხლის დამზღვევს დაპირებული აქვს ნაწილი რამდენისამე დამზღვევის მოგებისა. ხოლო შეეძლოთ დასაზღვევ პირობის შეკვრა, თუ ნაწილს მისცემენ დამზღვეველს საზოგადოებისას, ხოლო ვალდებულნი-კი უნდა იყვნენ ყოველ წლიურად აძლიონ ხსენებული მოგება, სამს წელიწადზედ არა უგვიანეს დაზღვევის ხნიდგან. აწ შეკრული პირობანი ძალაშივე დარჩება პირობაში აღნიშნულ მოგების შეკრების ვადამდე.

გამოცხადებულია კონვენცია, რუსეთსა და გერმანიას შორის დადებული, იმ წესის შესახებ, თუ რა წესით უნდა გაგზავნილ იქმნენ თავისს საცხოვრებლ ადგილას ისინი, რომელნიც ამ ორის სახელმწიფოდგან განდევნილ იქმნებიან.

**კობურგი.** აქ ჩამოვიდნენ მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი და დიდი მთავრინანი. სტუმართ დიდის ამბით დაუხვდნენ.

6 აპრილი

**პეტერბურგი.** ამ დღეებში სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზედ განხილულ იქმნება საქმე საკომერციო სასწავლებლების გადაცემისა ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში.

დღეს კომისიამ, გენერალ პეტროვის თავმჯდომარეობით, აირჩია მიმართულება ჩრდილოეთის გზისათვის—ვოლოგდა-არხანგელსკი; ამასთანავე გამოსთქვა აზრი, რომ სასურველია გზა გაყვანილი იქმნას იმ სხვა-და-სხვა მიმართულებისაც, რომელიც გვირჩია კომისიის ზოგიერთმა წევრმაო; რომ ერთის გზის გაკეთება კიდევ იმას არ ამტკიცებს, ვითომ საჭირო აღარ იყოს მეორე გზაცაო.

დღეს დაიწყებს მოქმედებას შინათმრეწველობის კომიტეტი, რომელიც განიხილავს, სხვათა შორის, იმას, თუ როგორ არის მოწყობილი საქმე შინათ-მრეწველობის ორგანოთა სხვა-და-სხვა ადგილას.

სასოფლო ეკონომიისა და სტატისტიკის განყოფილების გამგებლად ინიშნება დ. ა. ტიმირიაზევი.

**კობურგი.** დღეს მობრძანდა აქ დედოფალი ვიქტორია, რომელსაც მიესალმნენ ვოკზალზედ ჰერცოგი და ჰერცოგინია კობურგელნი დიდის ამალითა.

**ბერლინი.** ხელმწიფის ბრძანებით აღკრძალულ იქმნა მხედრობისა და ფლოტის აფიცერთათვის მონაწილეობის მიღება სანაძლეოს დადებაში დოღის დროს.

მომავალს სამშაბათს გაიმართება ხელის-მოწერა 160 მილიონის მარკის სასესხებლად გერმანიის მიერ და 100 მარკიანი ქაღალდი ეღირება კურსით ცოტა ნაკლებ 88 მარკისა.

**ლონდონი.** ბიუჯეტით დეფიციტი აღრიცხულია $4^1/_2$ მილიონის რაოდენობისა; მის შესავსებლად სარჩიელია წარდგენილი, რომ შეიცვალოს გარდასახადის საქმე მემკვიდრეობით მიღებულს ქონებაზედ, მოემატოს შემოსავლის კვალობაზედ გაწერილს ხარჯს 8 პენსამდე თითო გირვანქა სტერლინგზედ, მოემატოს ლუდის გარდასახადს 6 პენსამდე თითოელ ბოჩკაზედ და სპირტის გარდასახადს 6 პენსამდე თითო გალონზედ; პირველ წაკითხვით შეწყნარებულ იქმნა ის მუხლნი ბიუჯეტისა, რომელიც შეეხება სატამოჟნო ბაჟს ჩაისა; ლუდსა და სპირტზედ; განხილვა გარდასახადის დაწესებისა მემკვიდრეობით მიღეიულს ქონებაზედ გადადებულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,43}$ | $148^1/_2$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $7_{,45}$ | $149^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 243 | — ,, | — ,, |
| —მეორისა | 221 | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | $192^7/_8$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — ,, | — ,, | $101^5/_8$ |
| 5% | — ,, | — ,, | 99 |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | $101^5/_8$ |
| 5% | — ,, | — ,, | 99 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

ტფილისის საქალაქო გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1894 წლის 27 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, გამართული იქნება საჯარო ვაჭრობა მუხრანისა და რიყის ქუჩებს შუა მტკვარზედ მოსიარულე ბორნის იჯარით გასაცემად 1895 წლის პირველ იანვრიდგან სამის წლის ვადით. პირობათა შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 12 საათამდე. (3—3)

---

**ტფილისის საქალაქო გამგეობა აცხადებს,** რომ მის მიერ 12 ამა აპრილისათვის, შუა დღის 12 საათზედ, **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმისა, თუ ვინ იკისრებს 450 საჟ. შეშის დადგმას წელიწადში** საქალაქო დაწესებულებათა და ზოგიერთ ჯარის ნაწილისისა და მმართველობათათვის, იმ ჯარისა, რომელიც ქალ. ტფილისშია დაბანაკებული. შეშა უნდა დაიდგას 1895—1898 წწ. განმავლობაში.

ამ იჯარის აღების მსურველთ პირობათა ნახვა და შეტყობა შეუძლიანთ გამგეობის კანცელარიაში ყოველ-დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—3)

---

თესლეულობით ვაჭრობა
გ. გ. ლარშესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მ ი ვ ი დ ე
**ახალი თესლეულობა**
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—15)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში
მეორე გამოცემა წიგნისა:
**УЧЕБНИКЪ**
**ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА**
для русскихъ
СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ
цѣна 50 коп.
(10—5)

---

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—178)

---

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნების მაღაზიაში. კ. თავართქილაძის გამოცემული.
**უაჭის მოვლა**
ნ. შარაშიძისა
56 გვერდი 10 კ.
და
მოხუცი გერასიმეს ლომი მისივე. 5 კ.
(3—1065—3)

---



ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
**ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО**
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
**КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ**
ФАБРИКИ
**БРОКАРЪ и Ко**
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.